ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1538359

ნომერი: AR1256166

თარიღი : 07.10.2014

გაცემის თარიღი : 13.10.2014

გაცნობის თარიღი : 15.10.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხუტა მუკბანიანი პ/ნ 27001000423
- თბილისი II ნავთლუღის დას. VII ქ. N 74

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან საპროექტო შენობა ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში აღნიშნული რეკონსტრუქციით ხორციელდება ფასადის ცვლილება (ღიობის რეკონსტრუქცია და კიბის მოწობა) ვერ განიხილება როგორც პირველი კლასისს მახასიათებლის მქონე რეკონსტრუქციის სახეობად , აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა ახალი განცხადებით საკითხი დააყენოთ არა რეკონსტრუქციის, არამედ შეთანხმებულ პროექტში კორექტირების შეტანის კუთხით, ან ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ იქნება შესაძლებელი საკითხის ხელახლა განხილვა როგორც პირველი კლასის მახასიათებლის მქონე რეკონსტრუქციის სახეობად, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოთ:

- ველში "ფაილის მიმაგრება" აიტვირთოს საკადასტრო გეგმა საპროექტო კიბის დატანით გაბარიტული ზომების მითითებით.
- ველში "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს აიტვირთოს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა გადაღებული რამოდენიმე რაკურსიდან.
- "ფოტომონტაჟი"-ს ველში აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი დამუშავებული რამოდენიმე რაკურსიდან გადაღებულ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე , ვინაიდან მოთხოვნის ტექსტში კიბესთან ერთად ასევე ითხოვთ კარის ღიობის მოწყობას საჭიროა ფოტომონტაჟზე დაიტანოთ კარის ღიობიც , გაბარიტული ზომა მიეთითოს როგორც კიბეს ასევე კარის ღიობს.
–წარმოსადგენია ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. ` ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
ამასთანავე გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო კიბის ნაწილი ან მთლიანად კიბე ეწყობა საკადასტრო საზღვრებს გარეთ და მისი ფართი სცდება 6 კვ.მ საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა კიბის მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.